

საქართველო

ეროვნული თავისუფლების ზრით — კომუნისტური თავისუფლებისათვის
კომუნისტური თავისუფლების ზრით — კომუნისტური თავისუფლებისათვის



საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
ბამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 36 (1321) 18-24 სექტემბერი, 1992 წ.

საპრეზენტო გლოკში „11 ოქტომბერი“ გაერთიანებული პრინს:

საქართველოს სახალხო ფრონტი — თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე
საქართველოს რესპუბლიკური პარტია — თავმჯდომარე გიორგი მამბრიძე
«დას»-ი (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში) — თავმჯდომარე
რეზა ჯაფარიძე
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — თავმჯდომარე
ირაკლი უნგვალია

ამ კითხვას ხშირად გვისვამენ ტელეფონით მოკლავაშები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტის კრიტიკული დამოკიდებულება ბატონ ე.შ. ვარდნიკის პოლიტიკისა და თუ იმ მხარისაში ამ პოლიტიკის უარყოფას ან თვით ბატონ ე.შ. ვარდნიკის დამსახურებათა უზღვევადყოფას ნიშნავს. ამ კითხვის კომენტარს ვთხოვთ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ბატონ ნ.ნათაძეს. კომენტარი შემდეგია:

— თუ გავითვალისწინებთ, რამდენი სხვადასხვა მოსაზრება, შიში და იმედი დგას ამ კითხვის უკან, მისი კომენტარი მოკლე ვერ იქნება, ამიტომ ნება მომეცით, ეს თემა რამდენიმე საკითხად დავყო. პირველ ყოვლისა: რას წარმოადგენს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც ყველა მწვავე კითხვის წყაროა დღეს, თქვენ მიერ დასმულის ჩათვლით?

დღეს საქართველოს წინააღმდეგ, ჭეშმარიტად, ორი ფრონტი გახსნილია: ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში. მისალმდებიან, რომ ახლო მომავალში ამ ორ ფრონტს, სულ ცოტა, ორი სხვა შემოემატება, პირველებზე ბევრად უფრო სერიოზული. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ორივე „ფრონტი“ კონფლიქტითაა სავსე. საქართველოში და აფხაზეთში, რუსების მოწყობილია. მათივე ორგანიზებულია, — პირდაპირ, ან არაპირდაპირ, ე.წ. „ზვიადისტების“ ხელით — იმ დივერსიების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რაც დღეს დასავლეთ საქართველოში ხდება. თუ დავუჯერებთ შემოქმედებელ ინფორმაციას (შემოქმედებელი კი, ბუნებრივია, დღეს ხელთ ვერ

გვექნება), ამჟამად ამოქმედებულია საქართველოში არსებული რუსული აგენტურის მხოლოდ ერთი მეთოდი, დანარჩენი სამი მეთოდი კი „დაკონსერვებულ“ მდგომარეობაში იმყოფება და ბრძანებას უტყვის. ცხადია, რუსეთის გარდა საქართველოს სხვა მტრებიც ჰყავს. ამ უკანასკნელთა ურთიერთობა რუსეთთან შესაძლოა მტრულიც იყოს და მეგობრულიც. მაგრამ მტრული ურთიერთობაც არ გამოირჩევა მათს მოკავშირეობას საქართველოს წინააღმდეგ, როცა ამას საჭიროება მოიტანს. ასე, მაგალითად, ისტორიამ იცის არაერთი შემთხვევა რუსეთის ფარული მოკავშირეობისა ისლამურ აღმოსავლეთთან, როცა ამ უკანასკნელს საქართველოსათვის შემოუტყვი.

ცხადია, რომ ვიდრე საქართველოში რუსეთის ჯარი

თვალსაზრისი

იგი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ყველაზე თანმიმდევარი მტერი მაინც იქნება. იგი ყველა საშუალებით შეეცდება საქართველოს დასუსტებას, ეკონომიკურ დანგრევას, შინაგან დესტაბილიზაციას და გარეშე ძალთა დარტყმის ქვეშ დაყენებას, რათა აიძულოს იგი, რომ სრულად (CIS-ში შეტრევის გზით), ან ნაწილობრივ მაინც, კვლავ დაექვემდებაროს რუსეთის კონტროლს და მისი პოლიტიკის ორბიტში მოექცეს. არიან ადამიანები — ქართველებს შორისვე, — რომელთაც დიდ უბედურებად არ მიიჩნიათ საქართველოს კიდევ ერთხელ დაკავშირება რუსეთის იმპერიასთან. (ცხადია, ამ ადამიანთა რიცხვი ყველაზე დიდია ყოფილ პრივილეგირებულ ფე-

რია უკვე ისტორიის მიერ განწირული იმპერიაა. უფრო მეტიც: თვით ის საზოგადოება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ სსრკ-ს შეადგენდა, ისტორიის მიერ მრავალი ათეული წლით განწირული საზოგადოებაა, რომელსაც წინ მსოფლიოს მაჩინალობის გარდა აღარაფერი უდევს. იმპერიაში დაბრუნება, რაგინდარა ფორმით და რაგინდარა ხარისხით, საქართველოსათვის ხრამში გადაჩეხვას უდრის. მოგახსენებთ კიდევ, რატომ: ისევე, როგორც ყველა ე.წ. „დიდმა ისტორიულმა ერმა“, რუსეთმაც თავისი საკუთარი როლი ითამაშა მსოფლიოს ისტორიაში იმ დროს, როცა თავისი ტრადიციისა და განწყობის შესაბამისი, თავისი ბუნების შესაბამისი საზოგადოება ააგო და — სახელმწიფოებრივი წყობისა და სახელმწიფოებრივი ამოცანის სრული

რომელიც ჩვენი დროისა და XXI საუკუნის ეკონომიკური ცხოვრების საფუძველია, სოციალიზმი ვერ მოერგო და, შესაბამისად, ვერ მოერგო ვერც რუსეთი, რომლისთვისაც სოციალიზმი ყველაზე უფრო მორგებული და ყველაზე უფრო ბუნებრივი წყობა იყო თანამედროვე პირობებში. დასავლეთში დაამარცხა რუსეთი და დღევანდელი მსოფლიო-პოლიტიკური ვითარება სხვა არა არის რა, თუ არა ამ ფაქტის არსებობა და დეტალებში გაშლა. ამ ფაქტს უფრო ფართო და უფრო ზოგადი მნიშვნელობაც აქვს: მსოფლიოს თავისუფალმა ნაწილმა (თავისუფლებაში იგულისხმება ეკონომიკური თავისუფლება, პოლიტიკური, პიროვნული და სხვა) — დაამარცხა მსოფლიოს არათავისუფალი ნაწილი (ამ უკანასკნელის მედროში — სსრკ-ს სახით) და ამიერიდან მას მხოლოდ იმ ადგილს დაუტოვებს — მიუხედავად მისი ატომური ბომბების „შისისა“ — მსოფლიოს ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სისტემაში, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორი იქნება ეს ადგილი. მაგრამ ამთავითვე ნათელია, რომ იგი შემოსაზღვრული იქნება (რუსეთის მსოფლიოში ძველებურად გაპარპაშების საშუალება აღარ ექნება) და ამ იძულებით შემოსაზღვრულ სივრცეში დატოვებულ გიგანტს დამანგრეველი შინაგანი სოციალური და ერთაშორისი კონფლიქტები შეზანზარებს. უნდა საქართველოს, რომ ამ სისხლიანი უნაყოფო კონფლიქტების უნებური მონაწილე და სხვათა სამოქალაქო ომში მონაწილე იყოს? უნდა, რომ იდეოლოგიისაგან (ანუ ყოველგვარი შემკავებელი მოტივებისა და სირცხვილისაგან) განთავისუფლებულმა რუსეთმა ყველა თავისი შინაგანი გართულების დროს პირველ სისხლიან მსხვე-

რა გაქვთ, ბატონო, ვარდნიკის სანიშნაულობა?

ნოდარ ნათაძე

დგას, — და, მაშასადამე, ვიდრე ამ ჯარის „მთავარ სადაზვერუო სამმართველოს“ (IPY) საქართველოში მოქმედების თავისუფალი ასპარეზი აქვს — ჩვენს ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევა და წესრიგის დამყარება შეუძლებელი იქნება. ისიც ნათელია, რომ რუსეთის იმპერიული ძალები (რომლებსაც, ალბათ, მოსახლეობის 99,99 პროცენტის ღია ან ფარული მხარდაჭერა აქვთ.) არ არიან შუგულებულნი საქართველოს დაკარგვას. ამიტომ უახლოესი თვეების (და, შესაძლოა, უახლოესი წლების) მანძილზე რუსეთი თუ ჩვენი უბოროტესი მტერი არ იქნება (ბოროტგანზრახულობა არც ერთ ჩვენს მტერს არ აკლია),

ნაში). ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს კიდევ ერთხელ გადაყლაპვით საქართველო კვლავ დაუბრუნდება ე.წ. „უძრავობის“ ანუ დამყარების იმ მშვიდსა და სამარცხვინო მდგომარეობას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გვექონდა, როცა სხვისი კოლონია ვიყავით და ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით მივიწვედით ისტორიულად მოსალოდნელი თავისუფლებისაკენ. ხაზგასმით უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ადამიანები არა მხოლოდ უთაქმყოფარენი არიან, არამედ ბრმანიც. „უძრავობისა“ და მშვიდი კოლონიალიზმის მდგომარეობას დღეს, საბედნიეროდ, ვერაინ დააბრუნებს. დღეს რუსეთის იმპე-

პარმონით — მსოფლიოს თავისი ნება მოახვია. რუსეთმა ააგო ერთ ნებას დაქვემდებარებული, არათავისუფალი და ბოლომდე მილიტარიზებული საზოგადოება, რომელიც „მწეოდა და უსწრებდა“ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს — ომშიც და მძიმე მრევლელობის მოცულობაშიც — მანამდე, სანამ შრომისა და ბრძოლის ტექნოლოგია ნიჩხისა და ხიშტის იქით არ მიდიოდა. მაგრამ ტექნოლოგია განვითარდა და ვეღარ შეეთვისა ვერც შრომის ორგანიზაციის მონურ ფორმებს, ვერც მექანიკურ დაქვემდებარებაზე აგებულ სტრატეგიას. ე.წ. „მეორე სამრეწველო რევოლუციის“, ანუ „მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციის“,

(გაგრძელება მე-2 გვ.)

რბლად საქართველო გაიღოს და ყველა თავის შინაგან წყლულს საქართველოს ხარკზე მკურნალობა მოუხდომოს? ცხადია, არა! საქართველოს ურჩენია, ახლავ და სამუდამოდ გამოეთიშოს მსოფლიოს ამ შედარებით ჩამორჩენილ, უპერსპექტივო ნაწილს და შემოქმედებითი ძალისხმევით სამუდამოდ გადაინაცვლოს მსოფლიოს პერსპექტიულ, თავისუფალ ნაწილში, — ანუ, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, — ეკონომიკურად, პოლიტიკურად, კულტურულად და სულიერად შეუერთდეს დასავლეთს, რომლისკენაც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გული მიუწევდა და რომელთანაც ყველაზე მეტი მონათესაობა აქვს თავისი ბუნებით. როგორც ვხედავთ, დღეს საქართველოს წინაშე ის არჩევანი აღარ დგას, რომელსაც შეჩვეულნი ვართ რამდენიმე საუკუნის მანძილზე: „შვილობა თუ თავისუფლება?!“ დღეს არჩევანი ასეთია: „თავისუფლება და მშვიდობა თუ მონობა და სხვათა სამოქალაქო ომებში სისხლის ღვრა თაობათა მანძილზე?“ დანაშაული იქნება, თუ ამ არჩევანში შევცდით!

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს თემას. რას აკეთებს რუსეთი იმისათვის, რომ, მიუხედავად ჩვენი დამოუკიდებლობისა, საქართველოში და საქართველოზე ბატონობა შეინარჩუნოს? აკეთებს, სხვა ყოველივესთან ერთად, შემდეგს:

ა) არ გაპაყვს საქართველოდან ჯარი.

ბ) აიარაღებს და აორგანიზებს ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ რაზმებს საქართველოს მოქალაქეთაგან.

გ) უგულბებლყოფს საქართველოს სახელმწიფოებრივობას (მაგალითად, ხმარობს გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი“).

დ) თავისი ტერიტორიიდან საქართველოში ატარებს შეიარაღებულ ანტიქართულ რაზმებს რუსეთის მოქალაქეთა შემაღდენლობით — ჯერ ოსი და რუსი ეროვნების, შემდეგ ჩრდილო კავკასიის სხვა ეროვნებებისას.

ე) შეიარაღებული ძალით ერევა საქართველოს შინაგან საქმეებში, მაგალითად; უკრძალავს აფრენას ქართულ საბრძოლო შევლულფრენებს აფხაზეთში; გულუბრუნად სეპარატისტებს და იარაღს ართმევს სოხუმი-გაგრის მარშრუტის შევლულფრენებს; მოითხოვს ქართული გვარდიის გადაადგილების შეჩერებას სოხუმიდან თავის დამსვენებლების გაყვანამდე და ა.შ.

ვ) რუსული სამხედრო ნაწილების განლაგებაში და მათი განლაგების გვერდზე იდგარებს და ქართველების წინააღმდეგ ცეცხლის წარმოების საშუალებას აძლევს ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ შეიარაღებულ რაზმებს.

ზ) დაბოლოს, ცეცხლს აწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ნაწილების წინააღმდეგ, მაგალითად, შევლულფრენებიდან გაუხსნა ცეცხლი ქართულ ნაწილებს ცხინვალის „ტეკ“-თან და ცეცხლი გაუხსნა ქართულ ნაწილებს სოფ.ეშერაში (ამ უკანასკნელ ფაქტს რუსული მხარე უარყოფს).

ეს არასრული ჩამონათვალი ცხადად მეტყველებს ა) რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობის ფაქტობრივ არცნობას და ბ) რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტობრივ არცნობას მის შინაგან საქმეებში ჩარევის უფლების უზურპაციის ფორმით. თქმულის საფუძველზე ჩნდ-

ბა მეორე კითხვა: რა შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას იღონოს ამ აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ? მას შეუძლია: ა) მოსთხოვოს რუსეთს საქართველოდან ჯარის გაყვანა (ცხადია, ამ გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემათა უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინება); მოსთხოვოს, პირველ ყოვლისა, ჯარის გაყვანა დღევანდელი კონფლიქტების ზონებიდან.

ბ) დააფიქსიროს რუსეთის მიერ ანტიქართული რაზმების შეიარაღება, თავის ტერიტორიაზე ანტიქართული რაზმების გამოტარება, რუსული ნაწილების მიერ ქართული ნაწილების მოქმედების შეფერხება, მათ

ციის მოწყობა უჭირს! ამ დიპლომატიური და პოლიტიკური ნაბიჯების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობის ორგანიზაცია იმ ზომით მაინც, რომელიც საკმარისია, რათა ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენს რეგიონში ჩვენი კანონიერი ინტერესების დაცვა შეგვეძლოს. ამისათვის საჭიროა ორი რამ: არმიის შექმნა და სამხედრო მრეწველობის შექმნა, რათა ჩვენი ბრძოლისუნარიანობა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული იარაღისა და ტყვია-წამლის მიღებაზე ჩვენივე ყველაზე თანმიმდევარი მტრისაგან, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. არმია ისეთი შეიარაღებული ძალაა, რომელსაც გა-

ქართველოს ერთ-ერთ შვილს, ბატონ ე.შეგვარდნაძეს დღეს ხელთ აქვს საქართველოს გარეთ დაგროვილი უზარმაზარი პოლიტიკური კაპიტალი, უზარმაზარი გამოცდილება, პრესტიჟი და მსოფლიო პოლიტიკის როგორც ღია, ისე ფარული მექანიზმების ოპტიმალური გამოყენების ნიჭი. დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენი ქვეყნის დაცვის ზემოხსენებულ ტრადიციულ, „უსასწაულო“ შესაძლებლობებს ეს ახალი, არატრა-დიციული შესაძლებლობაც შეემატა. ამით უკვე გაცემული აქვს პასუხი „საქართველოს“ რედაქციისადმი მოქალაქეთა მიერ დასმულ კითხვას: „რა გაქვთ ე.შეგვარდნაძის პოლიტიკის საწინააღმდეგო საქართველოს დღევანდელ ვითარება-

რნება ჩვენს ტერიტორიაზე, და კიდევ უფრო მწიფდება ჩარჩობით ჩვენს უკანასკნელ პირობით: რუსის ჩართვით ჩვენს პროცესთა რეგულირებაში ჩვენ ვცნობთ მის ინტერესს ჩვენს ტერიტორიაზე; გარდა რუსის იმ ჯარისა, რომელიც ჩვენში უფუნქციოდ დგას (ანუ ჩვენს საქმეებში არ ერევა), ჩვენ ცხინვალის ზონაშიც და აფხაზეთშიც ავამოქმედეთ რუსის ისეთი ნაწილები, რომლებიც აღჭურვილნი არიან ფუნქციით ჩვენი ვითარების მიმართ: უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენს გვესლონონ, თუ კი ქართულ-აფხაზეთი შეთანხმებების ამა და ამ პირობის პუნქტები დეფარდით, და ა.შ. და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც კიდევ პრიორიტეტს ვანიჭებთ ჩვენთან მიმართებაში და მას, ამა თუ იმ ფორმით და ზომით, ჩვენი თავისა და ჩვენი რეგიონის ერთგვარ კურატორად ვთვლით. უდავოა, რომ უფეს პოლიტიკა უსასრულოდ ვერ გაგრძელდება, რადგან იგი საჩვენოდ საქმის გარდატეხის პერსპექტივას არ შეიცავს. მართალია, სხვა პროცესების პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა გაეროს თანდათანობითი ჩაბმისათვის ჩვენი პროცესების მეთვალყურეობაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს პოლიტიკის რუსეთთან მიმართებაში არ დასჭირდება უახლოეს მომავალში შემობრუნება, თუ გნებავთ — გარდატეხაც კი იმ არადამოუკიდებელ კურსსა და ტონალობასთან, შედარებით, რასაც დღეს ვადგავართ. თუკი დამოუკიდებლობა მართლაც გვინდა, ჩვენ უსათუოდ დაგვეკიდება სავსებით დამოუკიდებელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ. დემოკრატიულ პარლამენტურ ქვეყნებში პოლიტიკის შეცვლას, მით უმეტეს — პოლიტიკის შემობრუნებას, როგორც წესი, კაბინეტის ან თუნდაც სათანადო მინისტრის შეცვლა ახლავს. ჩვენთან ეს, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება. რაკი შეუძლებელია ერთმა და იმავე პოლიტიკოსმა გარეგანი საბაზის გარეშე თავისი პარტენერისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალოს, პოლიტიკის შემობრუნება განხორციელდება (თუკი განხორციელდება უწერია) მხოლოდ თვით ბატონ შეგვარდნაძეზე, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირზე, მაღლა მდგომელ და რუსეთისადმი დამოკიდებულ განწყობილი პარლამენტის ფორმით. კარგად არჩეული ეროვნული პარლამენტის ნება სავალდებულო იქნება ყველა თანამდებობის პირის კურსისათვის თვით ე.შეგვარდნაძის ჩათვლით და ამ ნების დამოქმედება შეეძლება ყველა თანამდებობის პირს ე.შეგვარდნაძის ჩათვლით თავისი პარტენერებთან ურთიერთობაში. საჭიროა პარლამენტი, რომელსაც ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთება წარმართავს (რა თქმა უნდა, შესაბამის პროფესიონალიზმთან ერთად). ეს გახლავთ როგორც წინამდებარე საპარლამენტო არჩევნების ახრი საერთოდ, ისე მასში სახალხო ფრონტის და მისი ბლოკის „11 ოქტომბერი“ მონაწილეობის ახრი კერძოდ, რადგან ე.წ. „მორჩილი უმრავლესობის“ პრინციპზე აგებული წითელი და მოწითალო პარლამენტი დღეს ათანწილად გართულებულ პირობებში საქართველოს უფრო დიდ ზიანს მოუტანს, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინ მოუტანდა.

რა გაქვთ, ბატონო, შეგვარდნაძის სანიანაღმდეგო?

ნოდარ ნათაძე

(დასასრული)

აჩნია ა) სამხედრო დისციპლინა, წესდებისა და ფიციით დაფიქსირებული მოვალეობის საფუძველზე. ბ) ყაზარმული რეჟიმი და გ) ჯარისკაცის ძუღმძივი დასაქმებულობა. სამხედრო წარმოებას რაც შეეხება, მისი საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური კადრი, რომელიც საქართველოს დღეს ჰყავს (დეტალებს შეგნებულად აღარ ვახსენებ). არმიის არსებობა, სხვათა შორის, ერთადერთი და საკმარისი გარანტიაა იმისა, რომ სახელმწიფოში თავისთავად გარდნა (და ნაწილობრივ, არმაში შევა) მთავრობისაგან ფაქტობრივად დამოუკიდებელი არასახელმწიფოებრივი შეიარაღებული ფორმირებები, რომელთაც საქართველოს მოსახლეობა კარგად იცნობს.

აი, ეს ორი საშუალება — უცხო ძალისაგან პოლიტიკური დაცვა, ერთის მხრივ, და საკუთარი სამხედრო-სამრეწველო ორგანიზაციის მშენებლობა, მეორე მხრივ, არის ის ქმედითი იარაღები, რომლითაც განთავისუფლების გზაზე შემდგარი ერი თავის თავს რ თავის ქვეყანას იცავს და რომელიც, ამასთანავე, მას გამარჯვების გარანტიას აძლევს, — დღეს თუ არა, ხვალ მაინც — რადგან ამჟამად ისტორია ჩვენს სასარგებლოდ — სსრკ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სასარგებლოდ მუშაობს.

ამ საშუალებათა გამოყენება — და, მაშასადამე, ამ საშუალებებით გამარჯვებაც — შეუძლია ნებისმიერ ერთგულ, გონიერ და საშუალო ნიჭის მთავრობას, მაგალითად, ისეთს, დღეს რომ საბჭოთა კავშირის აწ განთავისუფლებულ, ცივილიზებულ რესპუბლიკებს ჰყავთ. საქართველოსაც რომ 1990 წლის არჩევნების შემდეგ ამგვარი ხელისუფლება ჰყოლოდა, ჩვენც ამგვარად გამარჯვებულნი ვიქნებოდით. როგორც ვიცი, ეს არ მოხდა (რატომ და როგორ — ამაზე აქ არ ვმსჯელობთ). შესაბამისად, ჩვენ თავდაცვის ზემოხსენებული კლასიკური მექანიზმების გამოყენების მხრივ თითქმის წელიწადნახევარი ამოდ გაგვიცდა.

ახლა ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავდაცვის სხვა მექანიზმიც გამოჩნდა. სა-

ში? პასუხი ნათელია: სრულებით არაფერი. უფრო მეტიც, იმ ოთხ მილიონ ქართველში, ვინც დღეს საქართველოში ვცხოვრობთ, იგი, ალბათ, ყველაზე საჭირო ქართველია. მაგრამ კითხვა ზედმეტად გამარტივებული მჩვენება და პასუხიც, შესაბამისად, ზედმეტად მარტივი მგონია. საკითხავია არა მხოლოდ დღევანდელი პოლიტიკის წარმატება ან თუნდაც ხელიდანღვლის პერსპექტივა, არამედ მთელი რთული ნახაზი უახლოესი რამდენიმე წლის ვითარებისა, რომელიც საქართველოს ხელთ მყოფი ყველა ძალის მოქმედების კოორდინაციას მოითხოვს. ჩვენი არატრადიციული უპირატესობების გამოყენება როდინიშნავს, რომ ტრადიციული, ისტორიის მიერ მრავალჯის გამოცდილი საშუალებები უზულებელყოფთ ან მათს სრულად გამოყენებაზე ხელი ავიღოთ. სათუთი მანევრირება დიპლომატიკის სცილებსა და ქარიბდებს შორის სწორედ მაშინ იქნება მაქსიმალურად ნაყოფიერი, როცა ჩვენ ცალსახად და მკაფიოდ გაცხადებული გვექნება ჩვენი მტკიცე და ურყევი ნება — რუსეთისაგან სრული დამოუკიდებლობის ნება. ჩვენ ცალსახად და საქვეყნოდ უნდა ვუზუნბოდეთ რუსეთს, რომ ჩვენი კავშირი მასთან ან მისი უფლებამოსილება ჩვენი ტერიტორიის და ჩვენში მიმდინარე პროცესების მიმართ არაფრით არაა იმაზე მეტი, რაც ჩვენი კავშირი აფრიკის რომელიმე ქვეყანასთან ან ამერიკის რომელიმე ქვეყნის უფლებამოსილება ჩვენი შინაგანი პროცესების მიმართ; ჩვენ უნდა დიად ვუზუნბოდეთ ჩვენს მეზობლს, რომ ერთმანეთისადმი აბსოლუტურად უცხოენი ვართ და რომ ჩვენი კეთილმეზობლური ურთიერთობა, მხოლოდ სრული ურთიერთდამოუკიდებლობის და ურთიერთთანასწორობის ბაზაზე შეიძლება. ჩვენ მტრულ აქტად უნდა ვაფიქსირებდეთ და არ უნდა ვაბატიობდეთ ჩვენს მეზობელს ყოველ ანტიქართულ ნაბიჯს, გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი“ ხმარებიდან დაწყებული და ჩვენთვის ცეცხლის გახსნით დამთავრებული. (ისე, როგორც დაგაფიქსირეთ, მაგალითად, მისი პარლამენტარების ჩვენს ხელისუფლებასთან შეუთანხმებელი გამოხე-

რესპუბლიკური საავადმყოფოს 776-ე პალატაში წევს ბურამ მამუკაძე, საფეთქელთან ჭრილობა უკვე შეხორცებია, მხარი აქვს ჭურვით გაგლეჯილი და ფეხიც ასეთივე მდგომარეობაში აქვს, თუმცა ხელჯოხით მინც ახერხებს სიარულს, კისერზე ჯვართან ერთად ავტომატის ერთი ტყვიაც მკიდია... ხოლო პალატაში კი მისი მეუღლე და ერთი პატარა ბავშვიც ტრიალებენ. ორი კიდევ სახლში დატოვეთ, მეუბნებიან.

„2 სექტემბერს საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ შეგროვილი მოხალისეები და რევულუციური არმიის გაწვევულები, სამასი კაცის რაოდენობით, ჩაკედით ფოთში. იარაღი იქვე დაგვორიგეს, ფიციც იქ მივიღეთ. დამით სამი გემი დატვირთეთ და წავედით გაგრაში.“

გაგრაში ჩასვლისთანავე ჩვენი პოლკი პოზიციებზე გაანაწილეს, უკვე საშინო იყო და დარაჯებს ვაყენებდით ხოლმე. მესამე დღეს გავედით გაგრის სიახლოვეს. სოფელ კოლხეთის იქით არის სოფელი „წითელი ჯვარი“, იქ გადის წინა ხაზი. დავიკავეთ პოზიციები. იმათ შე მოხვლას ვუშლიდით ხელს. შეტევაზე წასვლის ბრძანება არ

ეს სათავესო ტყვია ბერს აქვს, მაგრამ დემეტრე ნუ დააჭირვოს ნურც ერთს. არა, როცა მე ვიყავი, მაშინ ტყვედ არაფერ ჩავარდნილა... ისე, როდემდე უნდა ვამატოთ დღეს დღე, როდემდე უნდა გადაიდოს ეს მოლაპარაკებები, ამ დროში. ხომ ჩვენი ბიჭები იხიციებიან, იჭრებიან.

მოკლედ, ერთ ბინაში, სადაც ჩვენები იყვნენ გამაგრებულნი, რომ მივედით, გვიხიზრეს — ძალიან ძლიერი სროლებია ასი-ოდე მეტრით დამორბეული ერთი სახლიდან და უკანა მხრიდანაც, სიმინდის ყანიდანაც გვევრიანო. ეს ის სახლი აღმოჩნდა, წინა დღეს რომ გაეწმინდეთ მე და

ბიდან მთავროვა და მართლაც, ძალიან ვაქაკურად იბრძოდნენ, ყოველთვის წინა ხაზზე იყვნენ — იქ, სადაც ყველაზე ძალიან გვიჭირდა.

9 სექტემბერს ამ ათეულმა „ნაშტ“-სთან ერთად შეუტია მტრის პოზიციებს და სულ რაღაც ათიოდე წუთში ოთხი სახლი

ტის ხაზზე არ გაანჩა კავშირ-გაბმულობა; შემოაღწივენიც უნდა მო ეს პოზიციები, ჩველმერცეც გახდა ასაღები და სწორედ ამ დროს დაიჭრა ამ ათეულის სამი მებრძოლი, მათ შორის უფრო მძიმედ გურამ მექვაბიშვილი...

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს სამედიცინო სამსახურის ცუდი მუშაობა — დაჭრილების გამოყვანა ჩვენ თვითონვე გვიხდებოდა რითაც მოვახერხეთ...

ჩვენი ბატალიონის გარდა გაგრაში იბრძვის მოხალისეთა I ბატალიონი, გაგრის ბატალიონი, გაგრის ნაწილები და „მხედრონი“. ყველა ამ მებრძოლს ერთი დიდი გასაჭირი ადგოდა თავს — ტყვია-წამლის ნაკლებობა განვიცდით. ეს, ალბათ, ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული, მაგრამ სასწრაფოდ უნდა გაძისწორდეს.

რაკი საშუალება მომეცა, ბეკრი იქ მებრძოლი ჯარისკაცის გულისტკივილიც უნდა გაითხრათ.

ის მინდა ვთქვა, რომ ჯარისკაცებს, ვინც იქ იბრძვიან სამშობლოს დასაცავად, არა აქვთ არავითარი გარანტიები. მე, პირადად, სამი შევიღის მამა ვარ, მოხალისედ წავედი აფხაზეთში შემოაღწიწული ბატალიონის რიგებში, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ჩემზე და აგრეთვე სხვა მოხალისეებზე მათი ბატალიონში ჩარიცხვის ოურიდული საბუთი არ არსებობს, რაც, დემეტრე დაიფაროთ და, ნებისმიერი მათგანის დაღუპვის შემთხვევაში გამოწვევს მათი ოჯახების უმარჩუნლოდ დარჩენას.

სხვათა შორის, გურამ მექვაბიშვილის სამი მეცინველოვანი შვილი ჰყავს — ეკა, ირაკლი და თორნიკე.“

ჯარისკაცს სათავესო ტყვია არ დასჭირვებია ...

ჩემი ათეული ერთ სახლში იყო გამაგრებული. დღისით სწრაფად ისროდნენ-ერთხელ ტყვიამ ჩემს ყურთან ჩამოფშენა კედელი და, დამით მოიპარებოდა ვიღაც „მკაროვით“, აგვიტყვავდა სროლას და რაკი ეს გარემო კარგად იცოდა, თვალსა და ხელს

ჩემმა ბიჭებმა. ალბათ დამით ისევე შეიპარნენ და კვლავ გვესროდნენ.


შევედით იმ სახლში, მაგრამ, ეტყობა, ამ სროლა-სროლაში მოასწრეს გაქცევა. დავიჭირეთ ერთი სომეხი, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და ფანჯრიდან მიიპარებოდა. არა, იარაღი არ ჰქონდა. მე აქ ვცხოვრობო, გვიხიზრდა. აფხაზეთისკენ რატომ გარბიხარ, ხომ იცი, ისერიანო, შევეკითხეთ. თან იმანაც დაგვაგვქა, რომ სხვა მეზობელი სახლები დანგრეული იყო, ამისი კი — ხელუხლებელი. ის სომეხი შტაბში გავატანე ბედრავს, ამ დროს მოვიდნენ ჩემი ბიჭები, გვიხიზრეს — გავიგვი, საიდან ისერიანო. ერთი სახლი იყო, სახურავი ჰქონდა ახდელი და იქიდან გვესროდნენ ტანკა-წინააღმდეგო ჭურვებს. პოდა, ხანამ ჩვენ პოზიციებს დავიჭერდით, მანამდე მოასწრეს სროლა და მე ჰაერის ტალღამ ზემოთ მისროლა, ჭურვის ნამსხვრევებიც ალბათ მაშინ მომხვდა... თითქმის ყველა დაიჭრა მსუბუქად, მაგრამ მძიმედ მე და მერაბი დავიჭირეთ, ის „აგვაზადან“ იყო, ახლა გვარს ევლარ ვიხსენებ.

ჩამოგვიყვანეს გაგრაში, იქვე გაგვიწიეს პირველადი დახმარება. იმ დღესვე ვერტმფრენით სოხუ-მამდე ჩამოგვიყვანეს, იქიდან კი თბილისში გადმოგაფრინეს... დიდი მადლობელი ვარ მთელი მედპერსონალისა და განსაკუთრებით კი ჩემი მკურნალი ექიმისა; ისინი ყურადღებას არ მაკლებდნენ.“

ზემოთ ნააშბობი ამბის კომენტარება ვთხოვე ლეიტენანტ ბადრი მუჟარიშვილს, მეორე ბატალიონის მესამე ოცეულის მეთაურს,


აი, რა გვიამბო მან: „გურამ მექვაბიშვილმა ხარდლობის მითითებით შეაგროვა ათი კაცი, ეს გახლდათ სპეცდანიშნულების ათეული და ასრულებდა საგანგებო დავალებებს. ჩემი ოცეულიდან მასთან იყვნენ: ივანე აფციაური, ლევან ბუგაშვილი, რომან ბიბილოვი, გურამ გელავა და დავით ზუგუაშვილი. დანარჩენი ბიჭები სხვა ოცეულე

განთავისუფლა მათგან. ამ სახლებიდან მასირებული ცეცხლი მოდიოდა სხვა გამაგრებულ ობიექტებზე... ოთხი კაცი ვიყავით ერთ სახლში გამაგრებული და სწორედ იმ სახლებიდან გვესროდნენ. გურამ მექვაბიშვილის ათეულის გაბედულმა მოქმედებამ ავტომატის თავედან. თმის კანონების მიხედვით, ის ალბათ ოთხი სახლი მყისვე უნდა დაეკავებინათ ჩვენს მეთაურებს, რაც საშუალებას მოგვცემდა წინ წაგვეწია ფრონტის ხაზი ამ მონაკვეთზე 100—150 მეტრით, ამასთანავე ამ პოზიციების დაკავება ასეულს სტრატეგიულად მისცემდა უპირატესობას; მაგრამ ეს არ მოხდა, ამის გამო, რომ ჩვენს ახლადწამოყალიბებულ ბატალიონს ფრონ-



გპქონია. ჩვენ ერთმანეთთან ისე ვიყავით, ერთმანეთს ვუფრთხილდებოდით, საკუთარ თავზე ნაკლებად ვუიქრობდით. მოკლედ, იცი, როგორ არის? ხომ შეიძლება ბედისწერისგან განწირული იყო... ტყვია-წამალი შემოგველიოს. პოდა, იმათ ხელში ჩავარდნას, სჯობს შენ დაასწრო... აი, კისერზე რომ მკიდია, ამას სათავესო ტყვიას ვეძახით... კი,

შუა გაგვიკრებოდა ხოლმე. ვერანაირად ვერ მოვახერხეთ მისი დაჭერა. ხომ — გათხარით, ბრძანება იყო, წინ არ წავსულიყავით, მხოლოდ პოზიციები უნდა გაგვემარებინა. დღისით გვიშენდნენ „პი.ი.ს“-ს, ტანკაწინააღმდეგო ჭურვებს, იმ სახლებს ანგრევდნენ, სადაც ჩვენ ვიყავით გამაგრებულნი. როგორ დავიჭერით?



უზენაესი საბჭოს ექსპიკერ-მა ბ-მა აკაკი ასათიანმა საქართველოს ტელევიზიით გამოვლასას გაამართლა წინა ხელისუფლების მიერ შემუშავებული კვოტირების სისტემა, რომლითაც ჩატარდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. როგორც ცნობილია, ამ სისტემით აფხაზეთის პარლამენტში 26 ქართველი, 28 აფხაზი და 11 სხვა ეროვნების დეპუტატი უნდა ყოფილიყო არჩეული და პრაქტიკულად, ასეც იქნა განხორციელებული. ბ-მა აკაკიმ დაახლოებით ასე ბრძანა: ჩვენ გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ქართველები აფხაზეთის მოსახლეობის 47 პროცენტს შეადგენენ, ე.ი. ნახევარზე ნაკლებს, აფხაზები 17 პროცენტს, დანარჩენი 36 პროცენტი სხვა ეროვნებებზე მოდის, მაგრამ მათ პროაფხაზური და არა პროქართველი ორიენტაცია აქვთ. ამგვარად გატარდა აზრი, არჩევნების დემოკრატიული სისტემით ჩატარების შემთხვევაში მისი შედეგები საქართველოსათვის და


„ეგრე არ არის თაყაო...“

ქართველებისათვის უარესი იქნებოდაო. ელემენტარული გამოთვლა გვიჩვენებს, რომ გამოთქმული აზრი სწორი არ არის. კვოტირების სისტემით არჩეულ აფხაზეთის პარლამენტში ქართველებზე მოდის პარლამენტის წევრთა საერთო რიცხვის 40 პროცენტი, აფხაზებზე 43 პროცენტი, სხვა ეროვნების დეპუტატებზე — 17 პროცენტი. დემოკრატიული სისტემის გამოყენების შემთხვევაში პარლამენტის შემადგენლობა აფხაზეთის მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის პროპორციული იქნებოდა. შესაბამისად, ქართველები მოიპოვებდნენ ადგილთა 47 პროცენტს, აფხაზები — 17 პროცენტს, სხვა ეროვნების დეპუტატები — 36

პროცენტს. ამგვარად, დემოკრატიული სისტემის გამოყენებისას ქართველების რაოდენობა აფხაზეთის პარლამენტში იდრეს არსებული 40 პროცენტიდან 47 პროცენტამდე გაიზარდებოდა. რაც მთავარია, თუკი კვოტირების სისტემით აფხაზეთის პარლამენტში ქართველ და არაქართველ დეპუტატთა შემადგენლობა შესაბამისად 40 პროცენტს და 60 პროცენტს შეადგენს, დემოკრატიული სისტემით არჩევნისას იგი იქნებოდა შემადგენლობა 47 პროცენტი და 53 პროცენტი. როგორც ჩანს, დემოკრატიული სისტემის გამოყენება ქართველ-არაქართველ დეპუტატთა უარყოფითი საღლოს 20 პროცენტიდან 6 პროცენტამდე შეამცირებდა. ესეც უნდა ითქვას, რაც არ უნდა ვილაპარაკოთ აფხაზეთის

პარლამენტის სხვა ნაციონალობის დეპუტატთა ანტიქართულ განწყობაზე, მწელია გავიზიაროთ აზრი, რომ იგი უტოლდება აფხაზ „სოიუზისტთა“ ზიზის ყოველივე ქართულისადმი. სხვანაირად, აფხაზ დეპუტატთა 17 პროცენტი და სხვა ნაციონალობის დეპუტატთა 36 პროცენტი, როგორც უნდა ყოფილიყო დემოკრატიული სისტემის გამოყენების შემთხვევაში, ბევრად უფრო ტოლერანტული იქნებოდა ქართველებისათვის, ვიდრე აფხაზ დეპუტატთა 43 პროცენტი და სხვა ნაციონალობის დეპუტატთა 17 პროცენტი, როგორც კვოტირების სისტემის მიხედვითა ამჟამად. ისიც იყო გათვალისწინებული, რომ ქართველთა პარლამენტური უმრავლესობის შემთხვევაში, უფრო ადვილად მოხდებოდა აფხაზ და სხვა ნაციონა-

ლობის დეპუტატთა ანტიქართული კოალიციის გარღვევა. შესაბამისად გადავიღებოდა აფხაზეთში, ზოგადად, და აფხაზეთის პარლამენტში, კერძოდ, ანტიქართული პოლიტიკის ბლოკირება. იგივე სატელევიზიო გამოსვლაში ბ-ნ აკაკიმ ბრძანა, აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის გაკვეცვა საქართველოს შინაური საქმე და მოლაპარაკებაში რუსეთი არ უნდა დაეხმარებოდეს მონაწილეობას. ეს თეზისი მრავალმხრივია საკამათო. უმთავრესი, ალბათ, ისაა, რომ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიელი მოხალისეები და დაქირავებულნი მკვლელები იბრძვიან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი რუსეთის მოქალაქენი არიან, მათი ვიოაჟის აღსაკვეთად რუსეთთან მოლაპარაკებაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, გულმბრყვილობა, უბრალოდ, პროვინციული ამბიციურობა იქნებოდა.



არტლაც უნდა იყოს და არ არის. დამიკარგეს ჩემი ცოდვით ესე ასოთაშწობებმა. გადავლევ ეს ჩემი წიგნი და გომარეობის გამოსასწორებლად ვეძებ მსგავსი აგებულების წინადადებებს. თუ ვერ ვიპოვე, დავუბრუნებ, როგორ დავაჯერო ნაფიცი სქოლასტიკოსი, რომ ამ დაწყებული „რომ“-ის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, კაცურად მძიმეც მაქვს წერილი-მეთქი.

ვიპოვე. ა, სოციალისტო, თუ არა ვერა, გადაშალე წიგნი 33-ე გვერდზე და წაიკითხე: „დიდებული ადამიანები ხშირად უძელოდ იკარგებიან. არა მხოლოდ იმის გამო, რომ, ვთქვათ სოციალურად უბრალო, რიგითი, მოუწინებელ ადამიანებს წაშლადგენენ, არამედ, იმიტომაც, რომ მეორე ადამიანის შეცნობა არაივის სურს, მისთვის რაივის სცალია.“

ჩემთვის თუ ვერ მოიცილი, მოიპონებო, მცირე ხნით მინც შეხედე წინადადების ტექსტში მოთავსებულ რომ კამიარს, ხედავ? ორივე მხრიდან მაქვს მძიმეებში გამომწვევები...

არადა, უსირცხვილოდ ამოვბდი „ავტორს ჰგონია: „რომ“ ვეშორის შემდეგ მძიმე არსად რ იწერება“-ო.

რეცენზენტის ჩხირკედლაობისა და უსინდისობის კიდევ რიოდე მაგალითს შემოგთავაზებთ.

ეს ჩემი ჭკუისმასწავლებელი რიოზულად მიხსნის, რომ უნდა ვწეროთ და ვიკითხოთ რტყვა „შემშილი“?

მისი აზრით არაფრით არ ძლება ვიხმაროთ სიტყვა „შეშლილი“. არ ითვალისწინებს სიტყვას, სიტყვაზე გადატარებული აქცენტს და საერთოდ ამ დის მეთოდით თუ მივიხედოთ ჩვენს მწერალთა თხზულებებს, ყველას ოროსნებად იგვიცხადებს ნაფიცი გრატიკოსი. მაგალითად, უკვდავი რაკტიონი მის კრიტიკას ვერ გაურჩებოდა, რადგან ერთი გან ხმარობს ასეთ ფორმას

„თანმიმდევრულად“, რადგან წერს ამგვარ ფრაზას „ერთსა და იგივე სურათს იძლევა“. კი, ბატონო, გრამატიკული შეცდომა მართლაც შეიძლება მოგივიდეს კაცს. შეცდომებს აღმოუჩინებ თვით ნაფიცი გრამატიკოსებსაც. ვისაც ქართულ ენაზედ რამე შეუქმნია, ორივე ხელის აწევით დამეთანხმება.

სტილისტური თუ სხვა ხასიათის რაიმე შეცდომა მართლაც არის ჩემს წიგნში, რომ მოვიინდომო, კიდევ მეტს აღმოვაჩინე, მაგრამ არც მხატვრული და არც მეცნიერული წიგნის ღირსება ორი-სამი გრამატიკული შეცდომით, მით უფრო კორექტურების აღმოჩენით ჯერ არავის განუსაზღვრავს. მხოლოდ მუხაიძე-გოგოჭურის დაქირავებული უგვანს შეუძლია ამის ჩადენა.



ჩემი „უვილობის“ დამადასტურებელი კიდევ ერთი საბუთი უპოვია ამ. სოციალისტს და სიამოვნებისაგან დამდნარი ჭკოვანების: „რომლის გარეშე“ კი არა, წიგნის ავტორს უნდა დაეწერა ურომლისოდ“-ო.

შეცდომების მძიმეებლმა ვერ შეაშინია, რომ მისგან მოძულებული „რომლის გარეშე“ არის ტექსტში, რომელიც ბრტყალეში გახლავთ ჩასმული, ანუ, რომელიც სხვას ეკუთვნის. ეს სხვა კი გახლავთ კოლაუ ნადირაძე, რასაც იქვე ვუთითებთ. ასე რომ, ჩემი სიძულვილით დაბრმავებულ რეცენზენტს, უნებლიედ, კოლაუ ნადირაძე შემოელანძლა.

აკი გითხარით, მისი მეთოდოლოგიით მთელი ქართული მწერლობა უფიცების საკრებულოდ წარმოიდგინება, ეს სოციალისტი ალდი კი ერთადერთი ჭკვიან კაცად მისიქვემეთში. მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ, რომ მის მიერ დაწერილი „რომლის გარეშე“ სხვას ეკუთვნის, თორემ ასეთ გამოთქმაში მე დასაწუნს ვერას ვხედავ რას, დასაწუნს კი არა და, ისე ლამაზად ზის ალდისაგან მოძულებული „რომლის გარეშე“

გალაკტიონის ერთ ლექსში, რომ თვით სიტყვათმოძულე სოციალისტიც კი აღფრთოვანდება.

ბუჩქებში მიმალული ამაზნაგო, გამოძვერი სამშენზე! გადაშალე გალაკტიონის წიგნი და ლექსში „ცხოვრება ჩემი“ აღმოაჩინე „უვილობის“ დამადასტურებელი „რომლის გარეშე“-ს:

„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია, იგი ელვარებს, სამუდამოდ დაშრება ვიდრე, მასში დიდება პოეტისა მე დაემკვიდრე,

რომლის გარეშეც, უკვდავება არაფერია.“

ახლა შეძვერი ისევ ბუჩქებში და მოუშადე პატაკი მუხაიძეს, რომლის გარეშეც გოგოჭური არაფერია.



წიგნში თავსაფრიან დედაკაცთან დაკავშირებით მაქვს ერთი ასეთი პასაჟი. საზოგადოებისა თუ საკუთარი ოჯახისათვის ზედმეტადქვეულ, გარიყულ ადამიანებზე ვწერ: „თუ გაუჩინარდებიან, მათი არარსებობა თვალთ აღარავის აკლდება...“

ხოლო არსებობით, ყველას თვალში ეჩხირებიან...“

ამ ფრაზებთან დაკავშირებით სოციალისტი რატომღაც მლანძლავს. იგი წერს: „გაურკვეველია თუ რისი თქმა სურს ავტორს... მაგრამ გარკვეულია: ამ ფრაზების სტილისტს ნამდვილად თვალთ დაჭკვებია (გვულისხმობ გონების თვალსაც). თვალთ დაკლება, ქართულად, მხედველობის დაქვეითებას ჰქვია. აბიტურიენტთა მოძღვარს აქ, ჩანს, — თვალში მონაკლისება უნდადა ეთქვა.“

რამდენად გაურკვეველია რისი თქმაც მსურდა, ამის გარკვევა ამ გაჭირვებულის გარდა, არა მგონია ვინმეს გაუჭირდეს. მაგრამ უფრო სამწუხარო სხვა რამ გახლავთ. ილანძლება მხოლოდ იმის გამო, რომ არ იცის ყოველდღიური ფიგურალური გამოთქმის მნიშვნელობა. თვალში დაკლებას, კონტექსტის მიხედვით, ორნაირ

მნიშვნელობა აქვს. მაგ. „თვალში დააკლდა სინათლე“, მაგრამ „ამ ბოლო დროს ეს კაცი თვალში დამაკლდა“-ო იტყვიან, ანუ დამეკარგა, გაუჩინარდა და ა.შ. ის, რომ მონაკლისებაც არსებობს, ქართული ენის სიმდიდრეზე მეტყველებს. ავტორი თავისუფალია არჩევანში. კონტექსტს როგორც მოუხდება, ისე შეიძლება წეროს. მაგ. უკეთესი მგონია დაიწეროს: „ამ ბოლო დროს ეს კაცი თვალში დამაკლდა“, ვიდრე „ამ ბოლო დროს ეს კაცი თვალში მესაკლისება“, ან „თვალში მომესაკლისა“. თუმცა არც ერთი იქნება შეცდომა და არც მეორე. უფრო მეტიც, კონტექსტის მიხედვით, ამ ორ სიტყვას შორის ნიუანსური სხვაობაც არის. მაგ. „გულს ესაკლისები“ ოდნავ სხვაა. ყოველივე ამას რომ მიხედვ, ქართული ენის მაღლი და ძალა შესისხლბორცებული უნდა გქონდეს. ჩემს რეცენზენტს კი, მხოლოდ გოგოჭურ-მუხაიძის სიყვარული აქვს შესისხლბორცებული. ეტყვიან გრიგალაშვილი გაგვილანძღეთ და ისიც ბუჩქას უვლის. რა კი საქმეც მუხაიძე-გოგოჭურმა დამართა ამ ჩირგვეში მიმჭდარ ალდს, ამას მკითხველი ხედავს, მაგრამ რა ბედნიერებასაც ალდის ბუჩქა მოუტანს გოგოჭურ-მუხაიძეს, ამას ისინი ახლო მომავალში ნახავენ, როცა მათ მტვერწაყრილ შემოქმედებაში ჩავიხედავ...



კაცმა რომ თქვას, ფსევდონიმს ამოფარებული, ჩირგვეში შემძვრალი ალდი ვინ არის და რა კაცია, — არც მაინტერესებს.

პო, მართლა, ზემოთ თვალთან დაკავშირებულ საკითხებზე „მეზაასებოდა“ და ამიტომ, ჩემი მისდამი დამოკიდებულება უფრო მკაფიოდ რომ გამოეხატო, მისი საყვარელი სიტყვა „თვალში“ უნდა მოვიშველიო. არის ასეთი ანექლოტი. გურულმა ჩხიკვს ესროლა.

ასცა ტყვია და ჩხიკვი გაფრინდა. შეწუხებულმა გურულმა ჩაილაპარაკა: ჩემს თვალში მკვდარი ხარ და აწი იფრინე რამდენიც გინდაო.

ეს ალდია თუ ვილადაა, ჩემს თვალში მკვდარია და მისი გვარ-სახელი არც მაინტერესებს.

იგივეს ვერ ვიტყვი მუხაიძე-გოგოჭურის მისამართით.

ალდის გვარ-სახელი უცნობია, რის გამოც მისი სიკვდილის ცნობა არავის გაუხეტქავს გულს. გოგოჭურსა და მუხაიძეს კი რაკი გვარებით ვახსენებ, უნდა მოვერიდო... მათდამი დამოკიდებულება საჭიროა უფრო ფრთხილად განისაზღვროს, რათა მათ ნაცნობ — მეგობრებსა და განსაკუთრებით სოცდემოკრატებს გულები არ დაუსკდეთ. რაზე მაქვს ლაპარაკი, უფრო ნათლად რომ გითხრათ, კიდევ ერთი ანექლოტი უნდა მოვიშველიო. ოღონდ იმ ანექლოტში ნახსენებ, ფისოს სახით, მკითხველს ვთხოვ ჩემი რეცენზენტი ალდი წარმოიდგინოს, სიდედრის სახით კი გოგოჭური და მუხაიძე...

აი, ეს ანექლოტიც: ცოლი სხვა ქალაქში იყო წასული და ქმარს დაურეკა.

— ჩვენი ფისო როგორ არის?

— ფეხები გაფშოკა!
— რა საშინელება! ნუთუ არ შეგეძლო ეს ამბავი უფრო დელიკატურად გეცნობებინა. მაგალითად, ჯერ გეთქვა, რომ იგი სახლის სახურავზე იჯდა. მერე მტყულოდი-გადმოვარდა და დაიმტვრა-თქო, გაიგე?

— შესანიშნავად.

— დედაჩემი როგორ არის?

— სახურავზე ზის!

რაკი მუხაიძის წიგნი უკვე ხელთ მაქვს, ვერ ვიტყვი, რომ მისი სახურავზე ჯდომა დიდხანს გაგრძელდება...

გოგოჭურის წიგნის არსებობის დამადასტურებელი კაცი კი ჯერ-ჯერობით ვერ ვიპოვე ქალაქში. თუ ჩემი ძიება უშედეგოდ დასრულდა, შეიძლება მას მარტოს მოუწიოს სახურავზე ყურყუტმა...



იყო ასეთი დროც...

თემურ ნერბაძე — დაბადდა 1954 წელს. ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. სახალხო ფრონტის მდიარბაზის წევრი. თ.ნერბაძე ხელმწიფო საბჭოს წევრია. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორია. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არის საქველმოქმედო საზოგადოების „ვიხსნათ საქართველოს ბავშვები“ პრეზიდენტი. თემურ ნერბაძე დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ბლოკ „11 ოქტომბრის“ საარჩევნო სიით და კენჭს არის მე-6 იმერეთის ოლქში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

— ბატონო თემურ, სახელმწიფო საბჭოს მუშაობის

თემურ ნერბაძე: კასი იმედით სოსხლოს...

თაობაზე მეტისმეტად მწირ ინფორმაციებში თქვენ თითქმის არ ჩანხართ. რა ხდება, მართლა არ ხართ აქტიური, თუ „ბედი“ არ გწვლობთ?

— მართალი ბრძანდებით, ნამდვილად ნაკლებად ვჩანვარ, ვიდრე სხვები თუმცა, რაც უნდა არათავმდებლობაში ჩამეთვალოს, ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფო საბჭოს პასიური წევრი ვიყო. პირიქით, თითქმის არ ყოფილა სხდომა, რომ მწვავე საკითხებზე არ გამოვსულიყავი და ჩემი აზრი არ გამოეთქვა.

არ მინდა საინფორმაციო საშუალებებს იგნორირება დავაბრალო, მაგრამ საერთოდ ხდება ისე, რომ ჩვენი ბლოკის წარმომადგენლები იშვიათად ჩანან, მიუხედავად იმისა, რომ დროის ნახევარს მიკროფონთან ვატარებთ.

ასე რომ, ჩემი გამოუჩენლობა არ ნიშნავს ჩემს არააქტიურობას სახელმწიფო საბჭოში. მათ შუა დიდი ზღვარი ძევს.

როგორც ჩანს, საინფორმაციო უწყებათა მესვეურებს თავიანთი გეგმები აქვთ, თუ ვისი გამოსვლა გადასცენ და ვისი არა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ გეგმებში ვერ მოვხვდით...

სხვათაშორის, ამას დიდად არც ვნაღვლობ, რადგან კაცმა საქმე აფიშირების გარეშე უნდა აკეთოს.

— როგორია 11 ოქტომბრის არჩევნების თქვენული პროგნოზი?

— ალბათ, უფრო ჭრელი პარლამენტი იქნება, ვიდრე, წინა იყო. მოსალოდნელია, რომ ბლოკი „მშვიდობა“ სხვა ბლოკებსა თუ პარტიებს მეტ ხმას მოაგროვებს, მაგრამ დიდი გამარჯვების იმედი არავის უნდა ჰქონდეს. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბლოკის მიერ თვითმიზნურად იქნება გამოყენებული ბ-ნ ედ. შვეარდნაძის სახელი და სწორედ ეს გარემოება აძლევს მათ საგრძნობ უპირატესობას.

საერთოდ მე არ ვარ მომხრე „მშვიდობის“ წაღმა-უკუღმა ხსენებისა თუნდაც კრიტიკულ კონტექსტში, რადგან წინაასრულები პერიოდში ეს ერთგვარ რეკლამას წარმოადგენს.

11 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ძალთა განაწილება უფრო რეალისტური იქნება,

ვიდრე 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ.

— რაც შეეხება ჩვენს ბლოკს „11 ოქტომბრის“, ვვარაუდობ, რომ მივიღებთ 25-30 პროცენტს საერთო ხმებისას.

იმ წვრილ-წვრილ ერთგვიან პარტიებს, რომლებმაც ლამის წაღვეს ტელევიზორები, ამ არჩევნებში არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

— თქვენ სოციოლოგიაში ჩახედილი კაცი ბრძანდებით. სატელევიზიო გადაცემა „რეიტინგის“ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად პარტიათა შორის სახალხო ფრონტი პირველობს. როგორ ფიქრობთ, რეალურია ეს სურათი?

— მე მართლაც ვერკვევი სოციოლოგიაში და საკმაოდ კარგადაც, ამიტომ ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ჩვენს გამოკვლევებს, რადგან ვიცი მათი ფასიც და ისიც, თუ რა ძნელია სრულყოფილი სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება.

მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია: ყოველი ამგვარი გამოკითხვა, რომელიც ამ ბოლო დროს ჩატარდა და რომელიც ჩემთვის ცნობილია, დაახლოებით ერთსა და იმავე სურათს იძლევა. ნათლად ჩანს, რომ სახალხო ფრონტი ყოველთვის მკვიდრად დგას პარტიების სამუხურში. ამიტომ ჩემთვის არ იყო მოულოდნელი „რეიტინგის“ გამოკითხვის შედეგი.

სხვათაშორის ასევე პოპულარულია ბატონი ნოდარ ნათაძე, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის შედის პოპულარულ პირთა სამუხურში უკანასკნელი გამოკითხვების შემდეგ.

თუმცა ზუსტი სოციოლოგიური სურათი 11 ოქტომბრის

შემდეგ იქნება. — ბატონო თემურ, რას ეტყობოდა ხალხს დღეს რომ 12 ოქტომბერი იყოს და თქვენ არჩევნებში გაგემარჯვათ?

— დაპირებების მიცემა ჭირის დღესავე არ მიყვარს. ჩემთვის ყველაზე სასურველი სიმდიდრე თავისუფლებაა, ამიტომ თუ ღმერთმა ინება დარღვევაში მოვხვდი, ვეცდები ყოველმხრივ შევუწყო ხელი ადამიანის განთავისუფლებას და ამ თავისუფლების ხელშეუხებლობას.

მე დაახლოებით ვიცნობ იმ პრობლემებს, რომლებიც აუცილებლად გადასატარია საქართველოში. მაგრამ არის პრობლემათა პრობლემა, რმელსაც ცალკე ვერავინ გადაწყვეტს, ამისთვის კოლექტიური ღონისძიებებია საჭირო. ეს არის ზნეობის კრიზისის, ანუ ტოტალური უზნეობის პრობლემა, რომელიც უფრო საშიშია, ვიდრე ომები, ეკონომიკური სიღუფტური, სოციალური უსამართლობანი და სხვა. რა თქმა უნდა, ეს პრობლემებიც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ, ვიმეორებ, უმთავრესია ზნეობის საკითხი. დღეს, ამ მხრივ, საქართველოში უმძიმესი სურათია, ჩარჩულმა, ვაჭრულმა სულისკვებამ შთანთქა რაინდული და ვაჟაკური სული, ადამიანის სიცოცხლე გაუფასურდა საბჭოთა მანეთივით...

ბუნებრივია, რომ არც სახელმწიფოს უმაღლეს ემელონშია საქმე უკეთ. თუ წინა ხელისუფლება სიგიჟის ხელისუფლება იყო, დღეს სიგიჟიდან ფარისევლობამდე მივედით.

ამგვარ ზნეობრივ ატმოსფეროში არჩეულმა პარლამენტმა, ვეცდები ვთქვა, დაკვირვებით მოუაროს ამ პრობლემებს. ზნეობის რესტავრაცია ათწლეულები სჭირდება. მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს...

ესაუბრა კობა ლიპლიპაძე



დღევანდელ ნომერში წარმოდგენილი ფოტოების ავტორია ჯემალ კასრაძე

ნუ გეზინიათ, გვესრტლეთ!

(დასასრული)

გერს, გვერდი ავიარეს და ხვეში შეგნენ. ვალიკომ ორი ხელყუმბარა დაიკოლა უკან. მას მერე აღარ გამოჩნდა.

მოწინააღმდეგის მხრიდან როლა მინელდა. „ნუთუ ამდენი დაკვირვება — ვფიქრობდი. ვილაცამ გვა, ჩენები, როგორც წესი, მთავარ შეტევას დილის ოთხ საათზე უწყებენ ხოლმეო. მუსულმანთა ელიგიურ დისციპლინაზე და შაიხის დოგმათა ერთგულებაზე ვერც მსმენია, მაგრამ ნუთუ ესეც არაერთში უწყობიათ? ზუსტად ოთხ საათზე დაიწყო ტყეებისა და ხეობების წვიმა. არაქათგამოცხობილი, უძილონი, ხობვით ვიცვდილით ადგილს და ვუშენდით გეც. საგუშაგოებს შორის ცოცხალი კავშირი მოიშალა, რადიოკავშირი არ გვექონდა, დილაზე უნდა დაგვეძლო, უკანდახვევით დავიდუბებით — ისმოდა აქა-იქ.

მზის ამოსვლისას ორმხრივი როლა მინელდა. საგუშაგოები ჩავეიარეთ. გადარჩენა მივეულოვით ტალახში ამოგანგლულ, გაწაბულ, მაგრამ სახეპლიმარ ბი-

წებს. არავინ დაღუპულა, არავინ დაჭრილა, წინა ხაზი არავის მიუტოვებია. პოზიციებიდან ოცდაათიოდ მეტრით დავიხიეთ და საუზმისთვის მოვემზადეთ. საიდანაც ბოთლი არაყიც გაჩნდა. მე და თემური შტაბისკენ დავეშვით. ორასიოდ მეტრიც არ ვაგვევლო, რომ ზურგს უკან იჭექა მტრის ყუმბარამ მძიმედ დაჭრა ლევანი და ვალიკო.

ასეთი იყო ჩვენი ბატალიონის საბრძოლო ნათლობა. უაღრესად ქართული და ვაჟაკური. ბედნიერი ვარ, რომ მოწმე გაეხდი ქართული საბრძოლო სულის აღზევებისა, რაც მომავალშიც დიდ სამსახურს გავგიწევს, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრი სამშობლოს პატრონს ხელი მუდამ იარაღზე უნდა ედოს.

თხუთმეტი დღის განუწყვეტელ ბრძოლებში თავს გამარჯვებულთა ამქარს ვაკუთვნებდი და მეამაყებოდა. სოხუმის აეროპორტში კი ერთმა შემთხვევამ გამიქარწყლა ეს ნეტარება. თემურსა და იუსებთან ერთად დარბაზში ვისხედით. ერთი თორმეტიოდ წლის მერცხალივით ბიჭი მოგვიახლოვდა. ილიმებოდა და ლამის თვალებით გვეპაძა. ჩვენს ავტობატებს

მთროლოვარე ხელი გადაუსვა და გვეითხა: „თქვენია?“ ვინა ხარ-მეთქი, ვკითხე. გუდაუთის რაიონელი რაჭველი ვარ (ასე თქვა), დღეს დილით ბავშვები და ქალები შეველმფრენით ჩამოგვიყვანეს, ჩენებისა და აფხაზებისაგან გამოგვიხსნესო. რა ამბებია იქეთ-მეთქი. თქვენ ვერ გაიგებთ, ბიძია, როგორ გვექცეოდნენ ჩენები და აფხაზები, რა გვიშვებოდნენო. თვალები ცრემლით ავესო. არ ჩავიბიძგვარ, მაინც რას გიშვებოდნენ-მეთქი, რათა კიდევ ერთი საშინელება არ მოესმინა ჩემს ყურებს. ქართულ სოფლებში ვინ დარჩა-მეთქი. ყველა იქ დარჩა, ასამდე ქალი და ბავშვი გამოგვიხსნესო. თქვენ ბომბებიც გაქვთო? — მკითხა ბოლოს. ძალიან ბევრი მეთქი. რატომ გუდაუთის რაიონის არ ბომბავთო. აუუსხენი, რომ დაებომბოთ, თქვენებიც ხომ შიგ მოჰყვებიან-მეთქი. იცი, ბიძია, მიპასუხა ბავშვმა, როცა მოვდიოდით იქ დარჩენილმა ქართველებმა დაგვაბარეს თქვენთან, ნუ გეშინიათ, გვესროლეთ, დაგებომბეთ, ჩვენს წამებასაც დაუსვით წერტილი და ამ ჩენენ-აფხაზთა ჯავრსაც — საფლავში ნუ ჩავატარათო...

ილია ბარამიძე
16 სექტემბერი, 1992წ.



განსა სურვილი საქართველოში კაცთა შორის ურთიერთობების ახალი ხანის დაწყებისა. თანდათან, ალბათ, წარსულს უნდა ჩაბარდეს უკულო ამპარტყენობა. მაგალითის მიმცემად მწერლები და გამომცემლობა „მერანის“ შემოქმედებითი მუშაკები მოგვევლინენ. გამომცემლობა „მერანის“ მიერ მოწყობილი წიგნის კვირეულზე მკითხველების თვითნებ სთავაზობენ მწერლები გურამ გვერდნითელი, ნუგზარ შატაძე, მანანა სანადირაძე. ფოტოზე ხელაუთ გამომცემლობის სხვა თანმშრომლებსაც. „შემოდგომის აზნაურის“ დრო წასულა...

